


2024 წლის იანვარ - ივნისის საგარეო სავაჭრო ბრუნვა


2024 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 320.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.8%-ით შემცირდა.

- ექსპორტი შემცირდა 6.7%-ით 2 848 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.
- იმპორტი გაიზარდა 0.2%-ით 7 471.8 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა .
- უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 4 623.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საგარეო სავაჭრო ბრუნვის 44.8% დაიკავა (2023/6-41.9%).
- ექსპორტის წილი ბრუნვაში 1.4%-ით შემცირდა და 27.6%-ით განისაზღვრა (2023/6 - 29%).

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი თვეების მიხედვით 2023-2024 წლებში




საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება, 2016-2024 წლების მიხედვით.




საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით

2024 წლის 6 თვეში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 67.4% შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 529.0 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 197.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (855.0 მლნ. აშშ დოლარი).




საქართველოს ექსპორტი (რე-ექსპორტის ჩათვლით)

2024 წლის 6 თვეში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.5% შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ყირგიზეთი (453.4 მლნ. აშშ დოლარი), ყაზახეთი (354.3 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (340.1 მლნ. აშშ დოლარი).



2024 წლის იანვარ-ივნისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქი ავტომობილებმა დაიკავა 933.9 მლნ. აშშ დოლარით (მთელი ექსპორტის 32.8%). მეორე ადგილს იკავებს ყურძნის ნატურალური ღვინოები 156.6 მლნ. აშშ დოლარით (5.5%), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 143.0 მლნ. აშშ დოლარით (5.0%).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 16%-ით გაიზარდა და 769.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პოზიციების ექსპორტი შემცირდა 13%-ით და 2 078.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ძირითადად გაიზარდა შემდეგი პოზიციების ხარჯზე

- **ღვინო** - ექსპორტი 156.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 24%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 71% (ზრდა 36%), პოლონეთი 5% (ზრდა 16%), უკრაინა 4% (კლება 5%), ჩინეთი 2% (კლება 36%), ყაზახეთი 3% (კლება 1%), აშშ 2% (ზრდა 46%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 132.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 59%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 52% (ზრდა 179%), სომხეთი 15% (ზრდა 4-ჯერ), უკრაინა 9% (კლება 1%), ბელარუსი 5% (კლება 19%), საფრანგეთი 5% (კლება 33%), სინგაპური 2% (კლება 40%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 80.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 50% (ზრდა 24%), ყაზახეთი 16% (ზრდა 38%), უკრაინა 12% (ზრდა 37%), უზბეკეთი 5% (ზრდა 2%), ლიეტუვა 4% (კლება 24%).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 12 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 38%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ისრაელი 25% (ზრდა 12-ჯერ), აშშ 25% (ზრდა 68%), იაპონია 10% (ზრდა 176%), გერმანია 9% (ზრდა 10%), რუსეთი 5% (კლება 80%), ავსტრალია 9% (ზრდა 97%).

- **სანელებლები** - ექსპორტი 24.9 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 193%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 80% (ზრდა 6-ჯერ), რუსეთი 13% (კლება 15%), უკრაინა 2% (კლება 21%).
- **თევზის ცხიმი** - ექსპორტი 18.5 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 22%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პერუ 70% (ზრდა 157%), თურქეთი 17% (კლება 57%), კოლუმბია 12% (ზრდა 20%).

ამასთან, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაში ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 58.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 1%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 48% (კლება 15%), აზერბაიჯანი 14% (ზრდა 29%), ყაზახეთი 11% (კლება 7%), სომხეთი 9% (კლება 19%).
- **თხილი** - ექსპორტი 34.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 5%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ესპანეთი 20% (ზრდა 109%), საფრანგეთი 6% (კლება 2%), გერმანია 5% (კლება 73%), იტალია 5% (კლება 65%), სომხეთი 6% (ზრდა 71%).
- **ცოცხალი ცხვარი** - ექსპორტი 4.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 62%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 50% (კლება 24%), ყატარი 14% (კლება 19%), საუდის არაბეთი 19% (კლება 83%).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 29.2 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 45%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 83% (კლება 25%), ყაზახეთი 10% (კლება 83%), ინდოეთი 5% (ზრდა 2.5-ჯერ).

სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე:


- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 933.9 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 6%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 44% (ზრდა 76%), ყაზახეთი 33% (ზრდა 29%), აზერბაიჯანი 13% (კლება 47%), სომხეთი 6% (კლება 71%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 29.1 მლნ აშშ დოლარი (კლება 91%) საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 66% (კლება 86%), ჩინეთი 34% (კლება 94%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 60.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 38%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი 25% (ზრდა 3%), პერუ 13% (კლება 81%), ინდოეთი 21% (ზრდა 85%).
- **მიკროავტობუსები** - ექსპორტი 1.8 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 91%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 63% (ზრდა 91%), სომხეთი 13% (კლება 99%), ყირგიზეთი 8% (კლება 23%).

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სამრეწველო პოზიციებზე

- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 143 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 30%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 47% (ზრდა 2-ჯერ), ეგვიპტე 12% (2023/6-0), რუსეთი 3% (კლება 90%), აშშ 14% (კლება 36%), ალჟირი 4% (კლება 10%).
- **დაუმუშავებელი ოქრო** - ექსპორტი 49.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 10%). საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 92% (ზრდა 18%), თურქეთი 7% (კლება 25%), ემირატები 1% (კლება 69%).
- **ძვირფასი ლითონის მადნები** - 101.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 2-ჯერ). ძირითადი ბაზრები: ჩინეთი 87% (ზრდა 2-ჯერ), ბულგარეთი 12% (2023/6-0).
- **მედიკამენტები** - ექსპორტი 53.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 9%). საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 47% (ზრდა 11%), აზერბაიჯანი 26% (ზრდა 14%), სომხეთი 10% (კლება 5%).
- **სატვირთო ავტომობილები** - ექსპორტი 25.4 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 13%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 66% (ზრდა 38%), სომხეთი 20% (კლება 18%), ემირატები 4% (კლება 29%), თურქეთი 4% (2023/6-0).


საქართველოს იმპორტი

2024 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 68.3% შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 285.2 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (857.5 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (771.3 მლნ. აშშ დოლარი)



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2024 წლის იანვარ-ივნისში კვლავ მსუბუქი ავტომობილებია, რომლის იმპორტმა 1 246.9 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 16.7%

შეადგინა. მეორე ადგილს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 631.7 მლნ. აშშ დოლარით (8.5%), ხოლო მესამე ადგილზეა სამკურნალო საშუალებები 318.8 მლნ. აშშ დოლარით (4.3%).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 5% გაიზარდა და 1 017.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი 1% შემცირდა და 6 454.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **მცენარეული ზეთი** - 20.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 4%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 84% (ზრდა 3%), უკრაინა 12% (კლება 4%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 161%).
- **ხორბალი** - 27.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 33%). იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან.
- **მეტალოკონსტრუქციები** - 65.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 7%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 53% (ზრდა 13%), ავსტრია 13% (ზრდა 96%), ჩინეთი 11% (ზრდა 2-ჯერ), ინდოეთი 5% (კლება 74%).
- **სამკურნალო საშუალებები** - 318.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 20%) იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 30% (ზრდა 41%), შვეიცარია 10% (კლება 18%), გერმანია 11% (ზრდა 30%), საფრანგეთი 6% (ზრდა 19%), უნგრეთი 8% (ზრდა 56%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - 631.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 27%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 42% (კლება 18%), რუმინეთი 10% (კლება 12%), ბულგარეთი 13% (წინა წლის ამ დროს შემოვიდა უმნიშვნელო რაოდენობით), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 144%), თურქმენეთი 5% (კლება 1%), საბერძნეთი 6% (ზრდა 2-ჯერ).

- **ნაღების კარაქი** - 21.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 6%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 31% (კლება 6%), ირანი 12% (ზრდა 24%), ფინეთი 13% (ზრდა 59%), დანია 3% (ზრდა 24%), პარაგვაი 6% (კლება 29%), ურუგვაი 11% (ზრდა 18%), ნიდერლანდები 2% (კლება 72%).

საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ღორის ხორცი გაყინული** - იმპორტი 26.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 16%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 92% (კლება 8%), პარაგვაი 1% (ზრდა 9%), კანადა 1% (კლება 91%), გერმანია 1% (კლება 48%).
- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 43.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 5%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 15% (კლება 38%), ჩინეთი 24% (ზრდა 6%), თურქეთი 11% (კლება 38%), გერმანია 8% (ზრდა 19%), საფრანგეთი 7% (ზრდა 153%).
- **სატელეფონო აპარატები** - 145.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 20%). იმპორტიორი ქვეყნებია: არაბთა გაერთიანებული საამიროები 44% (კლება 28%), ჩეხეთი 20% (კლება 26%), ვიეტნამი 8% (კლება 23%).
- **ხორბლის ფქვილი** - 9.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 62%). იმპორტის 92% განხორციელდა რუსეთიდან (კლება 64%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - 1 246.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 20%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 57% (კლება 21%), იაპონია 15% (კლება 21%), გერმანია 14% (ზრდა 11%).
- **ნავთობის აირები** - 226.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 18%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 56% (კლება 33%), რუსეთი 44% (ზრდა 16%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - 23.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 87%). იმპორტიორი ქვეყნებია: სომხეთი 93% (კლება 82%), აზერბაიჯანი 7% (კლება 36%). იმპორტი არ განხორციელებულა ქვეყნებიდან ჩილე, ინდონეზია, სერბეთი, თურქეთი (2023/6 - იმპორტი ჯამურად 52.3 მლნ აშშ დოლარი).
- **შაქარი** - იმპორტი 30.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 18%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 28% (ზრდა 45%), თურქეთი 13% (2023/6-0), ნიდერლანდები 11% (ზრდა 134%), ბელგია 11% (2023/6-0).

საქართველო - ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 5.8%-ით გაიზარდა, 1 242.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 21.7% დაიკავა (**2023/6 -20%**). ექსპორტი შემცირდა 26.7%-ით, 259.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 9.1% შეადგინა (**2023/6-11.6%**). იმპორტი 12%-ით გაიზარდა და 1 983.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 26.5% დაიკავა (**2023/6-23.7%**).

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 38.1%-ით შემცირდა, 194.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 75.1% დაიკავა და საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 15.1% (2023/6 - 21.5%). ადგილობრივი ექსპორტის კლება ევროკავშირის ბაზარზე გამოიწვია სპილენძის მადნების 86% - ით კლებამ.

რე-ექსპორტი 64%-ით გაიზარდა 64.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 24.9% დაიკავა და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 4.2% (2023/6-2.5%).

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი შემცირდა 7%-ით და 75.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქცია შემცირდა 42%-ით და 183.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ღვინო** - ექსპორტი 16.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 13%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 48% (ზრდა 16%), გერმანია 18% (ზრდა 25%), ლატვია 13% (ზრდა 3%).
- **ფეროშენადნობი** - 14.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 5-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 35% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით), საფრანგეთი 10% (კლება 1%), ნიდერლანდები 18% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით), ესპანეთი 21% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 11.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 40%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 60% (კლება 33%), ნიდერლანდები 21% (ზრდა 37%), ესპანეთი (2023/6 - 0).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 4.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 6%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 40% (კლება 28%), ჩეხეთი 10% (კლება 8%), იტალია 8% (კლება 51%), პოლონეთი 7% (ზრდა 5-ჯერ), სლოვაკეთი 5% (ზრდა 149%) ავსტრია 6% (კლება 46%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 19.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 89%). მთლიანი ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში (კლება 86%).
- **თხილი** - ექსპორტი 19.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 7%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 11% (კლება 2%), იტალია 10% (კლება 65%), გერმანია 8% (კლება 73%), ესპანეთი 35% (ზრდა 109%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 23.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 13%). საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი 67% (ზრდა 3%), ესპანეთი 19% (ზრდა 24%), ბულგარეთი 8% (ზრდა 4%), იტალია 7% (ზრდა 33%), ლიეტუვა (წელს ექსპორტი არ განხორციელებულა; წინა წელს გავიდა 5 მილიონის).

- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 6.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 2%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 54% (კლება 24%), გერმანია 23% (ზრდა 55%), ლატვია 13% (ზრდა 78%).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 19%-ით გაიზარდა და 302.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 11%-ით და 1 680.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **საკვები ინგრედიენტები** - იმპორტი 19.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 7% (ზრდა 6-ჯერ), გერმანია 22% (კლება 2%), პოლონეთი 16% (კლება 14%), ესპანეთი 6% (ზრდა 6%).
- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 12.8 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 17%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 28% (ზრდა 19%), ნიდერლანდები 11% (კლება 67%), საფრანგეთი 25% (ზრდა 153%).
- **სატვირთო ავტომობილები** - იმპორტი 48.1 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 7%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 40% (ზრდა 8%), ნიდერლანდები 15% (ზრდა 35%), საფრანგეთი 10% (ზრდა 23%), პოლონეთი 9% (კლება 26%), ბელგია 6% (ზრდა 9%).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 146.3 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 29%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 24% (ზრდა 30%), უნგრეთი 17% (ზრდა 56%), საფრანგეთი 13% (ზრდა 19%).
- **ლაბორატორიული რეაგენტები** - იმპორტი 7.1 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 20%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 45% (ზრდა 39%), იტალია 16% (კლება 6%), საფრანგეთი 15% (ზრდა 19%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 208.6 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 108%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 30% (კლება 12%), ბულგარეთი 40% (2023/6 შემოვიდა 485 ათასი აშშ დოლარის), საბერძნეთი 19% (ზრდა 2.5-ჯერ).
- **შაქარი** - იმპორტი 16.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 121%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 52% (ზრდა 45%), ნიდერლანდები 20% (კლება 134%), ბელგია 20% (2023/6-0).
- **კარაქი** - იმპორტი 11.9 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა 3%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 55% (კლება 6%), დანია 5% (ზრდა 24%), ფინეთი 23% (ზრდა 59%), ბელგია 5% (ზრდა 43%).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **სატელეფონო აპარატები** - იმპორტი 39.3 მლნ აშშ დოლარი (კლება 24%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ჩეხეთი 75% (კლება 26%), ნიდერლანდები 18% (ზრდა 42%).
- **ნარეკები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში** - იმპორტი 25.9 მლნ აშშ დოლარი (კლება 1%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 77% (ზრდა 4%), ირლანდია 14% (კლება 19%), გერმანია 7% (კლება 23%).

- **ხელსაწყოები მედიცინაში გამოსაყენებელი** - იმპორტი 22.9 მლნ აშშ დოლარი (კლება 10%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ბელგია 26% (კლება 21%), გერმანია 32% (ზრდა 20%), ნიდერლანდები 17% (კლება 30%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 234.6 მლნ აშშ დოლარი (კლება 0.1%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 77% (ზრდა 11%), ბელგია 3% (კლება 46%), პოლონეთი 2% (კლება 50%), ჩეხეთი 4% (ზრდა 20%).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

დსთ-ს ქვეყნებთან **სავაჭრო ბრუნვა 5.6%-ით შემცირდა**, 3 443.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი 33.4% დაიკავა (2023/6 - 35%). **ექსპორტი შემცირდა 1.5%-ით**, 1 896.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 67% დაიკავა (2023/6-63%). **იმპორტი 10%-ით შემცირდა**, 1 546.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 20.7% დაიკავა (2023/6-23%).

დსთ-ში ადგილობრივი ექსპორტი 17.4%-ით შემცირდა 504.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 26.5% დაიკავა და საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 39% (2023/6 41.8%).

რე-ექსპორტი 2%-ით შემცირდა 1 392.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 73.5% დაიკავა და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 89.5% (2023/9-82.5%).

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 26%-ით გაიზარდა და 523.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, **სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი 9%-ით შემცირდა** და 1 372.4 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 114.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 104%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 60% (ზრდა 179%), სომხეთი 17% (ზრდა 4-ჯერ), უკრაინა 11% (კლება 1%), ბელარუსი 6% (კლება 19%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 71.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 27%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 57% (ზრდა 24%), ყაზახეთი 18% (ზრდა 38%), უკრაინა 13% (ზრდა 37%), უზბეკეთი 5% (ზრდა 2%).
- **ღვინო** - ექსპორტი 127.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 29%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 87% (ზრდა 36%), უკრაინა 5% (კლება 5%), ყაზახეთი 4% (კლება 1%), ბელარუსი 3% (კლება 11%).
- **თხილი** - ექსპორტი 6.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 8%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 38% (ზრდა 27%), სომხეთი 33% (ზრდა 71%), უკრაინა 15% (კლება 13%).

- **ციტრუსი** - ექსპორტი 11.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 90%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 61% (ზრდა 2-ჯერ), სომხეთი 37% (ზრდა 13%).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 52.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 48% (ზრდა 11%), აზერბაიჯანი 26% (ზრდა 14%), სომხეთი 10% (კლება 5%), ყირგიზეთი 4% (ზრდა 20%), თურქმენეთი 2% (ზრდა 34%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

- **სიგარეტები** - ექსპორტი 27.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 46%). საექსპორტო ბაზრები: ყაზახეთი 10% (კლება 83%), ყირგიზეთი 89% (კლება 25%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 13.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 73%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 35% (კლება 90%), აზერბაიჯანი 23% (კლება 7%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 913.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 45% (ზრდა 76%), ყაზახეთი 33% (ზრდა 29%), აზერბაიჯანი 13% (კლება 47%), სომხეთი 6% (კლება 71%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 54.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 1%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 52% (კლება 15%), ყაზახეთი 12% (კლება 7%), უკრაინა 4% (ზრდა 2-ჯერ), უზბეკეთი 6% (ზრდა 6-ჯერ).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 6%-ით გაიზარდა და 368.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 14%-ით შემცირდა და 1 178.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მცენარეული ზეთი** - იმპორტი 20.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 85% (ზრდა 3%), უკრაინა 12% (კლება 4%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 161%).
- **ხორბალი** - იმპორტი 27.6 (ზრდა 37%). სრული იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან.
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 391.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 67% (კლება 18%), თურქმენეთი 8% (კლება 1%), აზერბაიჯანი 12% (ზრდა 144%), ბელარუსი 8% (ზრდა 6-ჯერ).

იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ხორბლის ფქვილი** - იმპორტი 8.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 64%). სრული იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან.
- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 11 მლნ. აშშ დოლარი (კლება 78%) იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 64% (კლება 40%), უკრაინა 11% (კლება 96%), რუსეთი 14% (კლება 41%).

- **ნავთობის აირები** - 226.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 18%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 56% (კლება 33%), რუსეთი 44% (ზრდა 16%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - იმპორტი 23.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 81%). იმპორტიორი ქვეყანა სომხეთი.
- **არმატურა** - იმპორტი 34.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 10%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 89% (ზრდა 48%), აზერბაიჯანი 11% (კლება 79%).
- **ცემენტი** - 23 მლნ. აშშ დოლარი (კლება 3%). იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან.